იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება№10

თბილისი **31 იანვარი, 2019წ.**

წინამდებარე იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება იდება, ერთის მხრივ, იურიდიულ ფირმა, „ბი ელ სი“-ს (შემდგომში „**მიმწოდებელი**“), და მეორეს მხრივ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრების სკოლას (შემდგომში „**შემსყიდველი**“) შორის, სადაც იურიდიული ფირმა წარმოდგენილია მისი პარტნიორის და უფლებამოსილი წარმომადგენლის ქეთევან ქვარცხავას მიერ, ხოლო კლიენტი წარმოდგენილია მისი დირექტორის მოადგილის – პანტელეიმონ კლდიაშვილის მიერ.

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. **შემსყიდველის** კონკრეტული დავალებების და მითითებების საფუძველზე **მიმწოდებელი** წარმოადგენს შემსყიდველს საქართველოს სასამართლოების წინაშე მისი ყოფილი დირექრორის მოადგილის გოჩა ტუღუშის მიერ დაწყებულ შრომით სამართლებრივ დავაში (CPV79100000 იურიდიული მომსახურება, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან).

1.2 **მიმწოდებელი** არ არის უფლებამოსილი ან ვალდებული შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, გაუწიოს **შემსყიდველს** ნებისმიერი სახის იურიდიული მომსახურება, თუ აღნიშნული არ არის მოთხოვნილი **შემსყიდველის** მიერ.

1.3 **მიმწოდებელი** დაემორჩილება **შემსყიდველის** მიერ გამოყოფილი საკონტაქტო პირის **ქეთევან მახარაშვილის** ან მის მიერ დასახელებული სხვა საკონტაქტო პირის მიერ გაწეულ ინსტრუქციებს და კომუნიკაციას.

1.4 **მიმწოდებლისა** და **შემსყიდველის** კომუნიკაცია და დავალების მიცემა შესაძლებელია მოხდეს ზეპირად ან წერილობით – ოფიციალური მიმოწერით ან ელექტრონული ფოსტით.

1.5 შესაძლებელია, აუცილებლობის მიხედვით, **შემსყიდველის** წინასწარი თანხმობით, **მიმწოდებელმა** გამოიყენოს მესამე პირების პროფესიული მომსახურება (შესაბამისი დარგის ექსპერტის და იურიდიული ტექსტების თარჯიმნის ჩათვლით).

2 <u>პროფესიული ეთიკა</u>

2.1 **მიმწოდებელი** გაუწევს **შემსყიდველს** იურიდიულ მომსახურებას სათანადო გულისხმიერებითა და ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ერთგულებით.

2.2 **მიმწოდებელი** თანახმაა ჩათვალოს ნებისმიერი საბუთი და ინფორმაცია განდობილი მისთვის იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით, შესრულებული ნებისმიერი ფორმით, წერილობით თუ ზეპირად, **შემსყიდველის** კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ გაუმხილოს იგი არც ერთი მესამე მხარეს **შემსყიდველის** თანხმობის გარეშე. აღნიშნული ვალდებულება უვადოა და ძალაში რჩება ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

3. <u>იურიდიული მომსახურების საფასური</u>

3.1 **მიმწოდებლის** მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებისთვის **შემსყიდველი** გადაიხდის საათობრივ ანაზღაურებას შემდეგი შეღავათიანი საათობრივი ტარიფით: პარტნიორის საათი – 380 (სამას ოთხმოცი) ლარი, უფროსი იურისტის საათი – 300 (სამასი) ლარი, იურისტის - 200 (ორასი) ლარი და თანაშემწის 100 (ასი) ლარი.

3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ მოცემული დავის წარმოებისთვის გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი თანხა არ გადააჭარბებს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს. მხარეები აღნიშნავენ, რომ აღნიშნულ თანხაში შევა დამატებული ღირებულების გადასახადი, ნებისმიერი და ყველა წერილობითი საბუთის, პასუხის, შესაგებლის, აპელაციის და ა.შ. შედგენა და იურისტის ოთხი ვიზიტი თბილისის გარდა სხვა გეოგრაფიულ ადგილას პროცესზე დასწრების მიზნით. მომსახურების საზღაური არ მოიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, სახელმწიფო ბაჟს,

ნოტარიუსის მომსახურების თანხას, იურისტის ტრანსპორტირების ხარჯს თბილისის გარდა სხვა ქალაქში. აღნიშნულ ხარჯებს შემსყიდველი გაწევს დამოუკიდებლად.

3.3 **მიმწოდებელი** ვალდებულია **შემსყიდველს** ყოველი ინსტანციის დასრულებისას გაუგზავნოს ანგარიში. ანგარიშში დაწვრილებით აღიწერება კლიენტის სასარგებლოდ გაწეული მომსახურება, შესაბამისი თარიღი და დახარჯული დრო. **შემსყიდველის** მოთხოვნისამებრ **მიმწოდებელი** დაუყოვნებლივ წარუდგენს მას საგადასახადო ანგარიშფაქტურას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3.4 **შემსყიდველი** უფლებამოსილია, **მიმწოდებლის** ანგარიშის მიღებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს **მიმწოდებელს** წერილობითი პრეტენზია ანგარიშში მითითებული მომსახურების განხორციელების ან მითითებული თანხის თაობაზე.

3.5 **შემსყიდველი** კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების 3.4 პუნქტში გათვალისწინებული პრეტენზიის წარუდგენლობის შემთხვევაში ანგარიშის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს მითითებული თანხის გადახდა უნაღდო ანგარიშსწორებით, გადახდის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში, **მიმწოდებლის** ანგარიშში (ინვოისში) მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4. <u>ზოგადი დებულებები</u>

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ შეთანხმებას მხარეებს შორის და ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულებამდე.

4.2 მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება პროცესის დასრულების ვადით. პირობითად, აღნიშნული ვადა იწყება 2019 წლის 31 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა შეიძლება გაიზარდოს, თუ ამ დროისთვის საქმის წარმოება არ იქნება დასრულებული საქართველოს სასამართლოებში, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეების ინიციატივით ვადამდე. შეწყვეტისთვის შემსყიდველი არ საჭიროებს რაიმე საფუძველს, ხოლო იურიდიული ფირმა უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეწყვეტა აუცილებელია ეთიკური მოსაზრებების გამო (მ.შ. ინტერესთა კონფლიქტი).

4.4 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი აუნაზღაურებს იურიდიულ ფირმას შეწყვეტამდე გაწეული მომსახურების საფასურს სრულად.

4.3 წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
BLC LLC Digitally signed by BLC LLC Date: 2019.02.19 11:34:00 +04'00'	---
საქართველო, თბილისი 0102, აღმაშენებლის გამზ. 129 ა ტელ.: +995 32 292 24 91; 292 00 86 ელ.ფოსტა: ketti@blc.ge; blc@blc.ge საიდენტიფიკაციო კოდი 404507182	საქართველო, 4600 ქ. ქუთაისი ნიკეას ქ.№13 ტელ.: +995 431 232 600 ელ.ფოსტა: p.kldiashvili@zspa.ge საიდენტიფიკაციო კოდი: 212852055